თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში!“

ქართული ბრენდების დაცვა „საქპატენტის“ ეროვნული ღირსების საქმეა!

„ღვინის აკვანი“ და „ქვევრი“ — უკვე დარეგისტრირებული ქართული სასაქონლო ნიშნებია

იხილეთ მე-4 გვერდზე

№21 (709) 23 - 29 ივნისი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ახალი მოწვევის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე და დეპუტატთა გადანაწილებული მანდატები ქუთაისში

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

15 ივნისს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა. ქვეყნის მოსახლეობა საკუთარი ქალაქის მერს და მუნიციპალიტეტის გამგებლებს პირდაპირი წესით ირჩევდა.

თუმცა, თვითმმართველობის არჩევნებზე საკუთარი არჩევანი მხოლოდ 1 485 372-მა ადამიანმა დააფიქსირა. ამომრჩეველთა უპრეცენდენტო სიმცირე დაფიქსირდა ქუთაისშიც. 153 537 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 43 000-მა მიიღო, რაც საერთო მონაცემების მხოლოდ 28%-ია, თუმცა არსებული მონაცემები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქუთაისი იმ 4 თვითმმართველ ქალაქთა რიცხვში აღმოჩენილიყო, რომლებიც არჩევნების მეორე ტურს გადაურჩა. მეორე ტური დაინიშნა თბილისშიც, ასევე – საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში, რომელთაგანაც 4 იმერეთის რაიონია.

„ქართული ოცნების“ ქუთაისის მერობის კანდიდატმა შოთა მურღულიამ ხმათა მხოლოდ 50,75% მიიღო. მეორე ადგილზე ქუთაისის ყოფილი მერი, „ნაციონალი“ გია თევდორაძე, 26,07%-ით გავიდა. ამომრჩეველთა 13,46%-მა დაუჭირა მხარი ქუთაისის ყოფილ მერს, თემურ შაშიაშვილს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ბაღდათი, ხონი, ტყიბული და თერჯოლა მეორე ტურისთვის ემზადება

იხილეთ მე-2 გვერდზე

სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის წარდგენის ვადა მცირდება

იხილეთ მე-3 გვერდზე

აქტის რეალიზაციასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა

იხილეთ მე-3 გვერდზე

შშმ პირთა დასახმარებლად

იხილეთ მე-7 გვერდზე

BP-მ იმერეთში 131 პროექტი დააფინანსა

იხილეთ მე-3 გვერდზე

ათი ქვეყანა, სადაც მსუქანი ქალები უყვართ

იხილეთ მე-8 გვერდზე

საქართველოს ხელისუფლება არასწორ პოლიტიკას ახორციელებს ნარკომომხმარებელთა მიმართ

„ჩემი რეპრესია, შენი რეგრესია“

იხილეთ მე-2 გვერდზე

„ჯორჯიან ამერიქან ელოიზი“ სილიკომანგანუმის წარმოებას ამცირებს

იხილეთ მე-6 ვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7 კროსვორდი — გვ. 7

ბაღდათი, ხონი, ტყიბული და თერჯოლა მეორე ტურისთვის ემზადება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური იმერეთის 11 მუნიციპალიტეტიდან ოთხში ჩატარდება. ესენია: ბაღდათი, ხონი, ტყიბული და თერჯოლა.

უკვე ცნობილია იმ კანდიდატთა ვინაობა, რომლებიც მუნიციპალიტეტის გამგებლობისთვის მეორე ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან.

ბაღდათში „ქართული ოცნების" კანდიდატმა **ირაკლი გეგეშიძემ** ხმათა 45,12% მიიღო, „სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს გზის" კანდიდატმა **მევლუდ კიკნაველიძემ** კი – 36,04%.

ხონში ერთმანეთს „ქართული ოცნების" და „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატები დაუპირისპირდებიან. **ჯამალ მებუკემ** „ქართული ოცნებიდან" ხმათა 46,73% მიიღო, „ნაციონალმა" **ზურაბ ჯიბუხაიამ** კი – 42,02%.

ტყიბულში „ქართული ოცნების" გამგებლობის კანდიდატმა **რობიზონ გვენეტაძემ** 44,04% მიიღო, საარჩევნო ბლოკ „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის" კანდიდატს **თენგიზ ჭიქაბერიძეს** 33,03% ერგო.

მეორე ტური ჩატარდება თერჯოლის მუნიციპალიტეტშიც. თერჯოლაში „ქართული ოცნების" კანდიდატმა **თეიმურაზ ჯაფარიძემ** ხმათა 46,89% მიიღო, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატმა **ტარიელ ფანჩულიძემ** — 36,70%.

არსებული ინფორმაციით მეორე ტური საქართველოში 8 თვითმმართველ ქალაქსა და 11 მუნიციპალიტეტში ჩატარდება.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ახალი მოწვევის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე და დეპუტატთა გადანაწილებული მანდატები ქუთაისში

პირველი გვერდიდან

ქალაქის პირველობისთვის სულ 7 კანდიდატი იბრძოდა, რომელთაგანაც მხოლოდ სამმა გადალახა 5%-იანი ბარიერი.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, „ქართული ოცნების" წარმომადგენლები ამომრჩეველთა სიმცირეს მსოფლიო ჩემპიონატს უკავშირებენ, „ნაციონალები" და სხვა ოპოზიციური პარტიები – „ოცნებების" აუსრულებლობით გამოწვეულ იმედგაცრუებას. ამიტომაც „მეორე ადგილოსანმა" თევდორაძემ „მეოცნებე" მურღულიას გამარჯვება მიულოცა და დასძინა, რომ მას ბარიერი ძლივს გადაალახვინეს.

ასეა თუ ისე, ქუთაისმა ახალი მერი აირჩია, რომელიც პოსტს 3 წელი დაიკავებს. ქუთაისში აქტიურად განიხილებოდა მურღულიას თბილისში რეგისტრაცია, რის გამოც მან არჩევნებში ხმა თბილისის მერობის კანდიდატს მისცა. ნაწილი ფიქრობდა, რომ ეს სულაც არ იყო ტრაგედია, თუმცა რადიკალურად განწყობილი ქუთაისელები მურღულიას თბილისში ჩაწერას არ პატიობენ, მათი განცხადებით, მურღულია ქალაქს უპატივცემულოდ მოექცა, ვინაიდან მის მოქალაქეობაზეც კი უარი თქვა.

არადა, ფაქტობრივი საცხოვრებელი არც თუ ისე გადამწყვეტი ფაქტორია ამ შემთხვევაში, რადგან ამომრჩეველთა 50,75%-მა მხარი დაუჭირა არა თბილისელ მურღულიას, არამედ – ქუთაისის კეთილდღეობას.

ახლადარჩეული შოთა მურღულია მერის პოსტის დასაკავებლად ემზადება, ქალაქი კი ახალი საკრებულოს მოლოდინშია.

თვითმმართველობის არჩევნებში პროპორციული სიების შედეგები თითქმის მერების ხმათა ანალოგიურია.

ხმების 48,42% „ქართულმა ოცნებამ" მიიღო; „ნაციონალურმა მოძრაობამ" — ხმების 26,33%, მესამე ადგილზე 10,18-ით ბლოკი „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია" გავიდა, 4,96% ერგო „დავით თარხან მოურავი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსს", ხოლო მეხუთე ადგილზე მიღებული ხმების 4,62%-ით „ლეიბორისტული პარტია" გავიდა.

შოთა მურღულია

ნატო ქათამაძე

დავით დვალი

საკრებულოს 25 მანდატიდან ათივე მაჟორიტარული მანდატი „ქართული ოცნების" კანდიდატებს ერგოთ. მურმან გუბელაძე — ავტოქარხანა; ნატო ქათამაძე — გამარჯვება; ბექა ყანჩელი — ავტომშენებელი; ზაზა ლომინაძე — უქიმერიონი; თეიმურაზ ნადირაძე — ქალაქ-მუზეუმი;
ნიკოლოზ ლატარია — საფიჩხია; ლელა ქელბაქიანი — კახიანოური; კახაბერ დვალიშვილი — ძელქვიანი; ირმა პეტრიაშვილი — ნიკეა; ლაშა გვენეტაძე — სულხან-საბა.

პროპორციული სიით 7 ან 8 დეპუტატის შეყვანას შეძლებს მმართველი გუნდი, რომელთა ვინაობაც საბოლოო შედეგების მიხედვით გახდება ცნობილი.

4 მანდატი მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ". საკრებულოში კვლავ მოხვდებიან და ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" შექმნიან დავით გოგისვანიძე, ბესიკ ბრეგაძე, გია უკლება და ამირან ძოწენიძე. გოგისვანიძე და უკლება წინა მოწვევის საკრებულოს დეპუტატები იყვნენ, ბესიკ ბრეგაძე კი მცირე ხნით ქუთაისის მერის პოსტს იკავებდა, რომელსაც საკრებულოს იმჟამინდელმა უმრავლესობამ იმპიჩმენტი გამოუცხადა. რაც შეეხება ამირან ძოწენიძეს, მას ჯერ ქუთაისის ვიცე-მერის, შემდგომ კი იმერეთის ვიცე–გუბერნატორის პოსტი ეკავა.

ქუთაისის საკრებულოში ორი დეპუტატით იქნება წარმოდგენილი „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია". სიის პირველი და მეორე ნომრით დეპუტატის მანდატის მფლობელები დავით წიტაიშვილი და ვახტანგ გაბუნია გახდნენ, თუმცა არაა გამორიცხული „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია"-ს მხოლოდ ერთი მანდატი ერგოს. „პატრიოტთა ალიანსს" მხოლოდ საკრებულოს ერთი მანდატი ერგო. ალიანსის სახელით საკრებულოში დავით ჯანაშია შევა. „ლეიბორისტული პარტიის" კუთვნილ მანდატს კი სამსონ გუგავა დაიკავებს.

საკრებულოში ვერ მოხვდა ვერცერთი დამოუკიდებელი დეპუტატი. რაც შეეხება გენდერულ ბალანსს, დაცული არც ამჯერად იქნება, თუმცა დეპუტატ ქალთა რაოდენობა ერთით გაიზარდა. 25-წევრიან საკრებულოში სამი ქალი დეპუტატი შევიდა.

მანდატის გარეშე დარჩა „არასაპარლამენტო ოპოზიციაც". ქუთაისელთა არჩევანით უკმაყოფილო სიის პირველი ნომერი გოგი წულაია ხელისუფლებას „ამოთხრით" კვლავ ემუქრება.

„თუ გგონიათ, საკრებულოში ჩემი არშეშვებით დამთავრდება ყველაფერი, ძალიან ცდებით. გარედან ვიბრძოლებ და მაინც ამოვთხრი," — აცხადებს წულაია.

უკვე აქტიურად განიხილება საკრებულოს თავმჯდომარის ვინაობა. ამ დროისთვის მხოლოდ ორი კანდიდატი ხდება საჯარო. ესენი „რესპუბლიკელი" ნატო ქათამაძე და ყოფილი ქრისტიან-დემოკრატი დავით დვალია, თუმცა ისინი ინფორმაციის დაზუსტებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებენ.

ქუთაისის მე-5 მოწვევის საკრებულო მუშაობას ქუთაისის საოლქო კომისიის მიერ გამოცხადებული საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე დაიწყებს.

ნესტან ჩაგელიშვილი

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

P — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

საქართველოს ხელისუფლება არასწორ პოლიტიკას ახორციელებს ნარკომომხმარებელთა მიმართ

„ჩემი რეპრესია, შენი რეგრესია"

26 ივნისი ნარკოტიკებთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ მოწინავე ქვეყნების გამოცდილების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება მტკიცებულებებზე დამყარებული ჩარევის ნაცვლად, ჯიუტად აგრძელებს რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას, რომლის ერთადერთი შედეგი ნარკომომხმარებელთა გაზრდილი რიცხვია, ნარკოდანაშაულის მატება, ე.წ. სააფთიაქო ნარკომანიის აყვავება და მომრავლებული, სიცოცხლისთვის გაცილებით საშიში ტოქსიკური ნარკოტიკია.

ზიანის შემცირების ქსელის წევრი ორგანიზაცია „ახალი გზა" და მომხმარებელთა თვითორგანიზაცია „რუბიკონი" წლებია, რაც საქართველოს მასშტაბით ნარკოტიკებთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლას აწარმოებენ. მათი წარმომადგენლების განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება არასწორ პოლიტიკას ახორციელებს ნარკომომხმარებელთა მიმართ, რაც უფრო მეტად ზრდის მომხმარებელთა რაოდენობას. მათი თქმით, ხელისუფლებას პრობლემის არსი გააზრებული არა აქვს.

ნარკომანია საქართველოში ერთ-ერთი უმთავრესი და გადაუჭრელი პრობლემაა.

რას აკეთებს სახელმწიფო ნარკომანიის პრობლემის აღმოსაფხვრელად, არსებობს თუ არა ქვეყანაში რეაბილიტაციის ცენტრები და ვის უნდა მივმართოთ ამ პრობლემასთან დაკავშირებით. რას აკეთებს საქართველო ნარკომომხმარებელთა რესოციალიზაციისათვის? როგორია საზოგადოების დამოკიდებულება მომხმარებელთა მიმართ? — აი, კითხვები, რაზეც სახელმწიფოს პასუხი უნდა ჰქონდეს...

ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელის, ირაკლი გამყრელიძის განცხადებით, რესოციალიზაციის სისტემა არ არსებობს საქართველოში.

„არ არსებობს არცერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უშუალოდ რესოციალიზაციაზეა ორიენტირებული. ნაწილობრივ ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებიც ამ კომპონენტს შეიცავს, მაგრამ სახელმწიფო მიდგომა ნარკომომხმარებელთა რესოციალიზაციის მიმართ არ არსებობს. დღეს პრეცედენტული არის ერთი წლის წინ დაწყებული დანაშაულის პრევენციის და პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ განმეორებით, დანაშაულის პრევენციის პროგრამები, ჯერ ინერგება და მოცულობითად ძალიან დიდი არ არის, მაგრამ ისინიც ამ შედეგს იძლევა. იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, საქართველოში იმ პირთა დიდ ნაწილს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არიან, მათ აქვთ, ან ჰქონიათ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები. ეს არის რთული სისტემა, იმიტომ, რომ რესოციალიზაციის სისტემა მიბმულია დასაქმებაზე, რომელიც, ზოგადად, პრობლემაა ქვეყანაში. ასევე მიბმულია მოტივაციის ინსტრუმენტებზე. ალბათ, ჩვენ ჯერ არ ვართ მზად იმისთვის, რომ სახელმწიფო დონეზე ასეთი მასშტაბური პროგრამები გვქონდეს. თუმცა, ამის ადვოკატირება სპეციალისტების და ექსპერტების მხრიდან მიდის. აქტიური დისკუსიის საგანი იყო აღრიცხვიდან მოხსნის საკითხი, როდესაც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაიწყო მარეგულირებელი და საკანონმდებლო ბაზის გადახედვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს საკმაოდ გართულებულია ნარკომანიით დაავადებული პირის, მომხმარებლის აღრიცხვიდან მოხსნის სისტემა და გვინდა, რომ ეს გამარტივდეს, რათა უფრო მოტივირებული იყვნენ ეს ადამიანებიც, რომ მოიხსნას ეს იარლიყი," — აცხადებს ირაკლი გამყრელიძე.

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

BP-მ იმერეთში 131 პროექტი დააფინანსა

2012 წლის ოქტომბრიდან „საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია" ახორციელებს პროექტს სახელწოდებით: „მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის (ბაქო-სუფსის) მარშრუტისათვის" (SBDP at WREP).

პროექტი ინიცირებული და დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების მიერ საქართველოს მილსადენის კომპანიის ფარგლებში.

პროექტის მიზანია დასავლეთის მიმართულების (ბაქო-სუფსის) საექსპორტო მილსადენის გასწვრივ მდებარე თემების კეთილდღეობის გაუმჯობესება ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობის გზით, რაც თავის მხრივ დაეხმარება BP-სა და თემებს შორის ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

მიზნობრივ თემებს წარმოადგენს მილსადენის გასწვრივ არსებული დასახლებული ტერიტორიები, სადაც დონორი ორგანიზაცია თავისი კეთილი ნების გამოხატვით დაეხმარა მოსახლეობას ბიზნესის ხელშეწყობის თვალსაზრისით. როგორც „საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციაში" აცხადებენ, ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში 116 სოფელში 285 ბიზნეს-იდეა დაფინანსდა, მათ შორის, სამხარეო დანაყოფებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური აღმოჩნდა იმერეთი, სადაც 131-მა ბენეფიციარმა მიიღო თითოეულმა 1200 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით 960 დოლარი).

საგულისხმოა, რომ იმერეთში ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტი აღმოჩნდა ჭიათურა, სადაც 19 პროექტი დაფინანსდა. ჭიათურა იმერეთში ყველაზე ნაკლებად განვითარებულია აგრობიზნესის კუთხით. სკაუტური მოძრაობის წარმომადგენლებმა მიზნობრივ თემებში პირველ ეტაპზე ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები, რომელმაც დააინტერესა მოსახლეობა (როგორც წესი, საგრანტო პროექტებამდე სოფლის მოსახლეობას ხელი იშვიათად მიუწვდებოდა ხოლმე) და დიდი ინტერესის გამო თითოეული სოფლიდან მინიმუმ 15-მდე საპლიკაციო ფორმა შეივსო. განაცხადები შეეხებოდა სასათბურე მეურნეობისა და ინკუბატორების მოწყობას, მეჩაიეობას, მეფრინველეობას, მეცხვარეობას, მეფუტკრეობას, მეთხეობას, მეღორეობას, მებოცვრეობას, წვეთოვან სარწყავ სისტემას, მეყვავილეობას, სწრაფი კვების მომსახურეობას, სოკოს წარმოებას და ასე შემდეგ.

საპლიკაციო ფორმების შევსებისათვის სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის წარმომადგენლები იძლეოდნენ მითითებებსა და რეკომენდაციებს, ხოლო შერჩეულ ბენეფიციარებს ჩაუტარდათ ტრენინგები ბიზნეს განაცხადების მომზადებაში, მოგება-ზარალის დათვლაში, ბუღალტერიასა და მარკეტინგში, ასევე ადამიანური რესურსების მართვაში. დაფინანსების მიღების შემდეგ გაგრძელდა მონიტორინგი და კონსულტაციები. დაგეგმილია ერთდღიანი კონფერენცია, რომელზედაც ბენეფიციარები თავიანთ საქმიანობას გააცნობენ ერთმანეთს.

შეცვალა თუ არა ამ პროექტმა ბენეფიციარების მატერიალური და სოციალური მხარე? ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც ბუნებრივად ისმება. 15 მუნიციპალიტეტში, რომელთა ტერიტორიაზეც მოხდა გრანტების გაცემა, ბენეფიციართა უმეტესობა მოულოდნელად თვლიდა ასეთი ტიპის თანამშრომლობას.

„მართალია, ჩემი იდეა ორიგინალურიც იყო და რისკებთან თითქმის არ არის დაკავშირებული, მაგრამ ბოლო წუთამდე არც ვფიქრობდი, რომ ვინმე დამაფინანსებდა. სკეპტიკური განწყობის მიუხედავად, შევავსე საპლიკაციო ფორმა და გრანტიც მოვიპოვე. ამის გამო მინდა, მადლობა ვუთხრა სკაუტებსაც და BP-საც" — განაცხადა ჩვენთან საუბარში სამი შვილის დედამ, ქალბატონმა ნონა ნოზაძემ, რომელიც სოფელ შუა გეზრულში ცხოვრობს. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ყველაზე მოშორებულ სოფელ შუა გეზრულში სამი პროექტი დაფინანსდა, მათ შორის არის მინი ინკუბატორიც. მარო ხოჯანაშვილი, რომელიც უმაღლესი განათლების მქონე პირია, განაცხადა: „90-იან წლებში იძულებული გავხდი, დამეტოვებინა ჭიათურაში პედაგოგის პოზიცია და სოფელში წამოვსულიყავი. აქამდე უხელფასოდ, სამსახურისა და პერსპექტივის გარეშე ვცხოვრობდი. სოფლის მეურნეობის ტრადიციული მიმართულებები მხოლოდ საოჯახო მოთხოვნებს მიკმაყოფილებდა, ისიც ნაწილობრივ. როცა მეზობლის დაჟინებული რჩევით დავიწყე საგრანტო განაცხადზე ფიქრი და სოფლის მოთხოვნებს კრიტიკული თვალით შევხედე, მივხვდი, რომ კარგი იქნებოდა მინი ინკუბატორის გაკეთება. მე ჭიათურიდან ყველაზე მოცილებულ სოფელში ვცხოვრობ და ვისაც ფრინველის მოშენება უნდოდა, საინკუბაციო კვერცხი ან ჭიათურაში უნდა ჩაეტანა, ან კიდევ ზესტაფონში. თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ისეთ მასშტაბზე მეფიქრა, რომელიც სოფლის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. პირველივე ჩეკვა წარმატებული აღმოჩნდა, 300-ზე მეტი წიწილი გამოიჩეკა, ასამდე წიწილი მაშინვე გაიყიდა, შემდეგ კი ფასნამატით გავყიდე და მოგებაც დატოვა. მოთხოვნა ბევრად უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მიწოდება შევძელი. სწრაფად გავრცელდა მეზობელ სოფლებში ჩემი ინკუბატორის ამბავი და, ალბათ, ხუთი ათას წიწილსაც უპრობლემოდ გავყიდდი. ვფიქრობ, რომ უფრო დიდი ინკუბატორი შევიძინო, ან მეორე ასეთივე. სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციამ დროულად და დაპირებისამებრ შეასრულა ყველა პირობა. BP-სა და სკაუტების მადლობელი ვარ, რომ ხელი შეგვიწყვეს!"

როლანდ ხოჯანაშვილი

R

სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის წარდგენის ვადა მცირდება

ზუსტად ერთი წლის წინ, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, შემუშავდა და წევრი სახელმწიფოებისათვის ხელმოსაწერად გაიხსნა ევროკონვენციის დამატებითი მე-15 ოქმი, რომლის თანახმადაც, სტრასბურგის ადამინის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის ვადა 6-დან 4 თვემდე მცირდება, ხოლო სტრასბურგის სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა ასაკი წარდგენის მომენტში არ უნდა აღემატებოდეს 65 წელს.

აღნიშნულ ოქმს სტრასბურგში დღეს საქართველოს სახელით საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ხელი მოაწერა.

მოცემულ ოქმს დღემდე ევროსაბჭოს 47 წევრი სახელმწიფოდან 37-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი.

ევროსაბჭოს მიერ მეთხუთმეტე ოქმის მიღება მიზნად ისახავს პრინციპის დამკვიდრებას, რომლის თანახმადაც, ადამიანის უფლებების დარღვევები წევრ სახელმწიფოშივე უნდა აღმოიფხვრას და სტრასბურგის სასამართლოში მხოლოდ კომპლექსური საქმეები უკიდურეს შემთხვევებში უნდა ხვდებოდეს.

მიმართვის ვადის შემცირებასთან ერთად, ოქმი ითვალისწინებს ამ მიზნით სპეციალური დებულების დამატებას ევროკონვენციის პრეამბულაში. სტრასბურგის სასამართლოს სურს, პრობლემები ქვეყნის შიგნით გვარდებოდეს და მასთან მისული საქმეების ოდენობა შემცირდეს, რათა სასამართლო განიტვირთოს და საქმეების განხილვის ვადაც მაქსიმალურად შემცირდეს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოუწოდებს ქართველ ადვოკატებს, იხელმძღვანელონ ახალი ნორმით და გაითვალისწინონ, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოში გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები არა ექვს, არამედ ოთხ თვეში უნდა გაასაჩივრონ. ვადის დარღვევის შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლო საჩივარს არსებითად აღარ განიხილავს.

აღნიშნული ცვლილება რამდენიმე თვეში ყველა ქვეყნის მიერ მეთხუთმეტე ოქმის რატიფიკაციის შემდეგად შევა ძალაში, რის შესახებაც იუსტიციის სამინისტრო საზოგადოებას დამატებით მიაწვდის ინფორმაციას.

ატმის რეალიზაციასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა

სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ოთარ დანელიამ კახეთის გუბერნატორთან, ირაკლი შიოლაშვილთან ერთად ატმის მოსავლის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები სამუშაო შეხვედრაზე განიხილა.

წელს კახეთში უხვ მოსავალს, დაახლოებით, 50 000-მდე ტონა ატამს ელოდებიან. კრეფის პროცესი აქტიურ ფაზაში 20 ივნისიდან შევა.

„მნიშვნელოვანია, რომ წელს ქართული ხილისთვის რუსული ბაზარი გახსნილია და გლეხებს რეალიზაციის პრობლემა აღარ ექნებათ. შეიქმნება სპეციალური შტაბები და ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელდება ყველა ის პროცედურა, რაც ხილის ექსპორტს უკავშირდება," — განაცხადა ოთარ დანელიამ.

თელავში გამართულ სამუშაო შეხვედრას სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი და კახეთის გუბერნატორის მოადგილე ზურაბ არსენიშვილი ესწრებოდნენ.

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები

დარეკეთ ცხელ ხაზზე!

გაიგე რას ჭამ!
მომხმარებლის უფლებების დაცვის საზოგადოებრივი მოძრაობა

დაგაეჭვათ სურსათმა, რომელსაც მოიხმართ?

- არასათანადო პირობებში იყიდება, ინახება ან გადაიზიდება;
- ვადაგასულია, ან მოხმარების ვადა გაუგებარია;
- გაფუჭებულია, დაბინძურებულია, ან სხვა მიზეზის გამო გამოუსადეგარია საკვებად;
- ეტიკეტი გაუგებარია, ან არა ხართ დარწმუნებული, რომ ის პროდუქტის შიგთავსს შეესაბამება

მოგვმართეთ მომხმარებელთა დახმარების ცენტრებში!

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი დარღვევა რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას.

ჩვენ დავათვალიერებთ თქვენს მიერ მითითებულ სასურსათო ობიექტს, შევიძენთ თქვენს მიერ დასახელებულ სურსათს, შევამოწმებთ მის ეტიკეტს და, შესაძლებლობის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიულ შემოწმებასაც მოვახდენთ. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას გავუგზავნით სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, თავად მეწარმეებს, მედია-საშუალებებს, გამოვაქვეყნებთ ვებ-გვერდებზე და გავავრცელებთ სოციალური ქსელების მეშვეობით.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CSRDG

თბილისი — ტელ.: 219 42 42, momxmarebeli.ge, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;

ახალციხე — ტელ.: 551 555 267, ელ-ფოსტა: mmakhaltsikhe@gmail.com, სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია;

საზოგადოება "ბილიკი"
Society Biliki

გორი — ტელ.: 599 534 070, 598 544 053, ელ-ფოსტა: mmcshidakartli@gmail.com, საზოგადოება „ბილიკი";

Friends of the Earth Georgia

ქუთაისი — ტელ.: 570 105 573, ელ-ფოსტა: momxmarebeli.kutaisi@greens.ge, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო.

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები მუშაობს პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში".

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

საკონტაქტო პირი: ლელა ბერძული, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის თანაშემწე. ელ-ფოსტა: lberdzuli@epfound.ge ტელ.: 225-39-42/43, მისამართი: თბილისი, კავსაძის ქ. №3.

დამატებითი ინფორმაციისათვის პროექტის შესახებ შეგიძლიათ, ეწვიოთ ვებ-გვერდს: www.mkidveli.ge

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

SWEDEN

ქართული ბრენდების დაცვა „საქპატენტის" ეროვნული ღირსების საქმეა!

„ღვინის აკვანი" და „ქვევრი" — უკვე დარეგისტრირებული ქართული სასაქონლო ნიშნებია

ქართული ბრენდი — ეს არის ის სიმდიდრე, რომელსაც საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი" იცავს. ქართული ღვინო „ხვანჭკარა", მეგრული ყველი, ჩურჩხელა თუ ყველა სხვა ასეთი დასახელება, რომელიც შეიძლება, მხოლოდ საქართველოსთან ასოცირდებოდეს, არის ის აქტივი, რომელიც ნებისმიერი ქართველისათვის შეიძლება, შემოსავლის წყარო გახდეს. ამ აქტივს კი საერთაშორისო დონეზე დაცვა სჭირდება, რასაც „საქპატენტი" ახორციელებს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება იქცა. საქართველომ 1992 წელს, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის პირველმა შექმნა და აამოქმედა ეროვნული საპატენტო სამსახური „საქპატენტი", რომელიც შემდგომ გარდაიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრად. რომელიც დღეს ინტელექტუალური საკუთრების ყველა ძირითად სფეროს აერთიანებს: სამრეწველო საკუთრებას, საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებს.

იმისათვის, რათა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა საქართველოს ფარგლებს გარეთაც იყოს უზრუნველყოფილი, ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების გლობალურ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაციაა აუცილებელი, რაც „საქპატენტის" მთავარი პრიორიტეტია. დღეისათვის საქართველო მიერთებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა ძირითად კონვენციასა და შეთანხმებას და არის მრავალი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე.

***

როგორც „საქპატენტის" წარმომადგენლები აცხადებენ, ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო საქართველოსათვის სტრატეგიული პროდუქტების — ღვინისა და მინერალური წყლების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა უცხოეთის ქვეყნებში. ამ მიზნით საქართველო შეუერთდა ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის ლისაბონის შეთანხმებას, დაიწყო ორმხრივი მოლაპარაკებები გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ დსთ-ს ქვეყნებსა და ევროკავშირთან. ამ დროისათვის უკვე ძალაშია ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის. გარდა ამისა, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნები უკვე დარეგისტრირებული და დაცულია დსთ-ს რიგ ქვეყნებში.

როგორც „საქპატენტის" თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე ამბობს, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ძალიან საინტერესო საქმიანობაა. საქართველო იმ კატეგორიის ქვეყანაა, რომელსაც არა აქვს მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მით უმეტეს – არც ფინანსური რესურსები.

„შესაბამისად, რაც ჩვენ გვაქვს, არის ჩვენი ინტელექტუალური საკუთრება, ცოდნა, ტრადიცია. ეს არის ძალიან კონკრეტული აქტივი, რომელიც შეიძლება, ძალიან სერიოზულ შემოსავლად გადაიქცეს" — მიაჩნია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივი კი ქართული ღვინის დასახელებებია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულება ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციის თაობაზე, რეალურად მათი დაცვა ვერ ხდებოდა ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ. მართალია, საქართველოში დარეგისტრირებული იყო 18 ადგილწარმოშობის დასახელება და მათი საზღვრებიც, მაგრამ საერთაშორისო დონეზე ქართული ღვინის თემა გასული არ იყო.

***

„პირველ სერიოზულ პრობლემას შევეჩეხეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენი „ხვანჭკარა" უკვე დარეგისტრირებული იყო ერთ-ერთი მეწარმის მიერ, რომელსაც ჰქონდა ექსკლუზიური უფლება ამერიკულ ბაზარზე ამ დასახელებაზე და შეეძლო, ქართული „ხვანჭკარა" არ დაეშვა იქ.

ჩვენ გვქონდა მასთან საკმაოდ სერიოზული სასამართლო დავა იმიტომ, რომ იქ თავის დროზე არასწორად მოხდა სახელწოდების რეგისტრაცია და საბოლოოდ, 2011 წელს მოვახერხეთ „ხვანჭკარა"–ს დაბრუნება. წელიწადზე მეტი მოვუნდით ამ პროცესს" — იხსენებს „საქპატენტის" თავმჯდომარე, – საინტერესოა, რომ აშშ-ს საპატენტო უწყებამ ორჯერ უთხრა უარი რეგისტრაციაზე იმ პიროვნებას, ვინც შეიტანა და შემდეგ მხოლოდ ქართველების მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე გასცა სარეგისტრაციო მოწმობა.

ეს იყო ერთი მეწარმე, რომელიც ახლა საკმაოდ დიდი მეღვინეა და ბევრი ქვეყნიდან შეაქვს იქ ღვინო, მათ შორის – საქართველოდანაც. ვერ ვიტყვით, რომ ის მაინცდამაინც ფალსიფიცირებულ „ხვანჭკარას" ყიდდა, უბრალოდ, მონოპოლიურ უფლებას ფლობდა. ასევე, რამდენიმე ქვეყანას ჰქონდა მითვისებული ქართული ადგილწარმოშობის დასახელებები და ჩვენ დავიბრუნეთ."

„დღესდღეობით ჩინეთში გვაქვს პრობლემა, იქ ერთ-ერთ დისტრიბუტორს ჰქონდა უკვე „ხვანჭკარა" და „მუკუზანი" დარეგისტრირებული და ჩვენ სასამართლო დავას ვიწყებთ" — აცხადებს სასაქონლო ნიშნების და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ქურდიანი. მისივე თქმით, ძალიან ხშირი იყო ქართული ადგილწარმოშობის სახელების ფალსიფიკაციის ფაქტები და „საქპატენტს" სასამართლო დავებიც ჰქონდა ამასთან დაკავშირებით. მაგალითად, ბალტიისპირეთში ბულგარეთში ჩამოსხმული „ხვანჭკარა" და „ქინძმარაული" იყიდებოდა. ბულგარეთში ამ ფალსიფიცირებული ქართული ღვინის დიდი პარტია ამოიღეს.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა, რომ ჩვენი ბრენდი იყოს დარეგისტრირებული, იმიტომ, რომ როდესაც დაცვის სამართლებრივი მექანიზმები უკვე გაქვს, შემდეგ აღსრულებას ადვილად აკეთებ" — აცხადებს „საქპატენტის" თავმჯდომარე.

„საქპატენტის" წარმომადგენლების განცხადებით, ამჟამად რეგისტრაციის პროცესები დასრულებულია ევროკავშირშიც. ასევე, ქართული ღვინისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ტრადიციული ბაზრები, როგორიცაა ყაზახეთი, ბელორუსია, უკრაინა. ყაზახეთსა და ბელორუსიაში ყველა დასახელება რეგისტრირებულია, უკრაინაში მიმდინარეობს რეგისტრაცია. რეგისტრაციის პროცესი დაწყებულია რუსეთშიც.

„სანამ დაიწყებოდა საუბარი, რომ რუსული ბაზარი იხსნება, მანამდე დავიწყეთ ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობა, იმიტომ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ფალსიფიკაციის დაცვის ყველაზე კარგი საშუალებაა, როცა დარეგისტრიტებული გაქვს შენი ნიშნები და დასახელებები. დღეს, როდესაც საუბარია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე ევროპასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ბაზარზე ჩვენი დასახელებები დაცული იყოს. ჩვენ შორსაც წავედით და არა მარტო ღვინო, არამედ სხვა დასახელებებიც დაემატა, მაგალითად, რძის პროდუქტები, ქართული ყველის ტრადიციული სახეობები, ასევე — მინერალური წყალი" — ამბობს „საქპატენტის" თავმჯდომარე. მისივე თქმით, ყველის სახეობებში დაცული გვაქვს სულგუნი, სვანური, გუდის ყველი. დაცული გვაქვს ასევე, მინერალური წყლებიც — „ბორჯომი", „ნაბეღლავი", „საირმე".

ირაკლი ღვალაძე

გიორგი ქურდიანი

***

„ჩვენ მარტო ღვინოზე არა ვართ ორიენტირებული. ბრენდია ქართული ყველი, მეგრული სულგუნი, მესხური ყველი, ჩეჩილი, მაწონი, ჩურჩხელა, ჭაჭა. ეს არის ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, რომლის გამოყენებაც ყველა ჩვენს მოქალაქეს შეუძლია, თუ იმ წესებს და იმ რეგლამენტებს დაიცავს, რომელიც ამ პროდუქტს გააჩნია" — ამბობს გიორგი ქურდიანი.

„ცალკე დავიცავით ჩურჩხელაც, რომელიც სუფთა ქართული ბრენდია. შეიძლება ითქვას, რომ ჩურჩხელა ერთი პერიოდი გადახდის საშუალებაც კი იყო საქართველოში. ისტორიულ წყაროებში ვნახეთ, რომ ერთმა მონასტერმა გადაუხადა ამდენი ჩურჩხელა სახელმწიფოს, იმიტომ, რომ ჩურჩხელას იყენებდნენ სამხედრო თვალსაზრისით — ჯარი როდესაც მიდიოდა საომრად, ჩურჩხელებს ატანდნენ. რაც გვაქვს დასაცავი, ის აუცილებლად უნდა დავიცვათ. თუ თურქები „ფაჰლავას" იცავენ და ათეულობით სახეობის „ფაჰლავა" აქვთ დაცული, ჩვენ რატომ არ უნდა დავიცვათ მაგალითად, ჩურჩხელა?" — ამბობს ირაკლი ღვალაძე.

„ჩვენ გვაქვს მუზეუმი, სადაც გვაქვს ორი სასაქონლო ნიშანი. ერთი არის „ქვევრი," რომელიც შეიძლება, მხოლოდ საქართველოში წარმოებულ ღვინოს დაერქვას და საქართველოში ნებისმიერ პიროვნებას აქვს ამის გამოყენების უფლება. მეორე — „ღვინის აკვანი," რომელიც რეგისტრირებული არის საქართველოს მიერ. ჩვენ მივდივართ იქითკენ, რომ ასოციაციები ფლობდნენ ამ სასაქონლო ნიშნების გამოყენების უფლებას" — ამბობს სასაქონლო ნიშნების და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსი. მისივე თქმით, სასაქონლო ნიშნების გარდა, ხდება გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დაცვა.

„ყველა ქვეყანას აქვს თავისი ადგილწარმოშობის დასახელებები, რომლებიც მარტო იმ ქვეყანასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, საქართველოში არის 18 ადგილწარმოშობის ღვინის დასახელება. სულ 37 გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება გვაქვს დაცული" — ამბობს გიორგი ქურდიანი.

განსხვავება ადგილწარმოშობის დასახელებას და გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის მარტივია. მაგალითად, ხვანჭკარა, ქინძმარაული, მუკუზანი არის მიკროზონა, ხოლო გეოგრაფიული აღნიშვნა დაკავშირებულია მთელ ქვეყანასთან, მთელ საქართველოსთან — მაგალითად ჭაჭა, ჩურჩხელა, მაწონი, სულგუნი.

„ჩვენთან დაცული ყველა ამ ობიექტის მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება. მათი ნებართვის გარეშე არავის არა აქვს მათი გამოყენების უფლება. სასაქონლო ნიშანი – ეს არის პირადად მისი, ხოლო ადგილწარმოშობის დასახელებები – სახელმწიფოსი" — აცხადებს გიორგი ქურდიანი, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენის უფროსი.

„თქვენ თუ ახალი წამალი შექმენით ან რაღაც გამოიგონეთ, თქვენ გაქვთ უფლება, რომ ვინც ამას გამოიყენებს, მოსთხოვოთ, რომ თანხა გადაგიხადოთ. თქვენი ნებართვის გარეშე ვერავინ ვერ გამოიყენებს. სასაქონლო ნიშანი არის პიროვნების ან პირთა ჯგუფის, ხოლო ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას ფლობს სახელმწიფო და ის იძლევა გამოყენების უფლებას." – გვიხსნის გიორგი ქურდიანი.

როგორ ხდება დასახელებების დაცვა?!

ნებისმიერი დასახელების დაცვის შემთხვევაში დგება სპეციალური დოკუმენტი, სადაც აღწერილია, როგორი შეიძლება იყოს ესა თუ ის დასახელების ღვინო.

ადგილწარმოშობის დასახელება მიბმული არის აუცილებლად კონკრეტულ უბანთან, მაგალითად, ხვანჭკარის ზონა — ეს არის ძალიან კონკრეტული დასახელება რაიონის, ზუსტად განსაზღვრული რუკაზე, სადაც მოდის ორი ჯიშის ყურძენი — მუჯურეთული და ალექსანდროული, რომელთა შეერთებით ვიღებთ ღვინოს „ხვანჭკარა". დეტალურად არის განსაზღვრული ის მოთხოვნები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს „ხვანჭკარამ" - კლიმატური პირობები, ნიადაგის მდგომარეობა, აგროტექნიკური ვადები, ანუ როგორ უნდა მოუაროთ ამ ყურძენს და ა.შ.

ეს არის სპეციალური წესი, რომელიც ზუსტად უნდა იყოს დაცული, რომ მეწარმემ მიიღოს „ხვანჭკარა". ამ ჯიშის ყურძენი რომ დაირგოს კახეთში, იქ ხვანჭკარას ვერ მოიყვან. ამაზე სოფლის მეურნეობის ღვინის ეროვნული სააგენტო აძლევს სპეციალურ მოწმობებს და შემდეგ „საქპატენტი" ატარებს რეგისტრაციაში იმ კომპანიებს, ვისაც აქვს უფლება გამოიყენოს ეს დასახელება. ასეთი ტიპის რუკები და განმარტებები იქმნება ყველა ადგილწარმოშობის დასახელებაზე და ამიტომ ამას სჭირდება შესაბამისი სპეციალისტები, ექსპერტები.

„მაგალითად, ყველის შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია ძროხის ფაქტორი — რძე საიდან არის, ძროხა სად დადის, სად ბალახობს. იქ, საძოვრები, სადაც დადის, როგორ ზონაშია, არის თუ არა ეკოლოგიურად სუფთა და ა.შ. – მნიშვნელოვანი სქემებია. ამიტომ ნაციონალურ ბრენდსაც ვეძახით ჩვენ ამას — ადგილწარმოშობის დასახელება ძალიან სერიოზული ღირებულებაა.

როდესაც ვსაუბრობთ ჩვენი წარმოების განვითარებაზე, ეს არის ზუსტად ის, რაც არის მაღალი ღირებულების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია და ასეთი დასახელება ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს. მაგალითად, **აიდაჰოს შტატში რომ მიდიხარ, აწერია — „აიდაჰო კარტოფილის სამშობლო". ეს აიდაჰოს კარტოფილი არის დიდი ზომის და საერთოდ ვერ მოვა სვანურ კარტოფილთან, მაგრამ სვანური კარტოფილის დაცვა არავის არ უფიქრია...** ანუ ყველაფერს უნდა დაცვა, გაბრენდება და გაპიარება. თანამედროვე ეკონომიკაში ასეა, რომ შენი საქონელი გაასაღო" — ამბობს ირაკლი ღვალაძე.

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

საქართველოს ხელისუფლება არასწორ პოლიტიკას ახორციელებს ნარკომომხმარებელთა მიმართ

„ჩემი რეპრესია, შენი რეგრესია“

მე-2 გვერდიდან

საქართველოს მასშტაბით, ნარკომომხმარებელთა დასახმარებლად რამდენიმე საშუალება არსებობს, თუმცა უმთავრესია მეტადონის ჩანაცვლების პროგრამა.

მეტადონის ჩანაცვლების პროგრამის რამდენიმე ცენტრი არსებობს. იმერეთის რეგიონში კი ასეთი ერთადერთი ცენტრია, რომელშიც სხვადასხვა რაიონიდან საკმაოდ ბევრი მომხმარებელი დადის. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული ცენტრის პაციენტს თავდაპირველად, ერთჯერადად 220 ლარის გადახდა უწევს პროგრამაში ჩასართველად, ხოლო შემდეგი თვეების განმავლობაში — 110 ლარს იხდიან. ვინაიდან იმერეთის მასშტაბით აღნიშნული ცენტრი ერთადერთია, პროგრამაში ჩართულ ადამიანებს ყოველდღე სიარულში გაცილებით მეტი ხარჯი აქვთ, ვიდრე მკურნალობა უჯდებათ.

და მაინც რა არის მეტადონის პროგრამა?

მეტადონი ხანგრძლივი მოქმედების სინთეზური პრეპარატია, რომელიც პირველად XX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენეს. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული იყო აზრი, რომ ნარკომანიის მკურნალობის ერთ-ერთი საშუალება იყო ნარკოტიკებისაგან სრული თავშეკავება. ჩანაცვლების თერაპიის პრინციპი კი მდგომარეობს იმაში, რომ მეტადონის სისტემატურად მიღების ხარჯზე ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირი შეამცირებს სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ხოლო შემდგომში კი სრულებით უარს იტყვის მასზე.

მკურნალობის ხელმისაწვდომობის საკითხი საქართველოში, ზოგადად, პრობლემურია. სტაციონარული მკურნალობა, ჩანაცვლებითი თერაპია, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გარკვეული კრიტერიუმების მქონე პირთათვის უფასოა, ზოგისთვის – თანაგადახდით. არის ასევე სხვა მიმართულებებიც, რომლებიც მკურნალობის შემდგომ მოტივირებულ პაციენტებს ეხმარება.

ფსიქოლოგ დავით ფორჩხიძის განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოების პროგრესული ნაწილი დიდი ხანია მიხვდა, რომ ნარკოტიკების აკრძალვა არაეფექტურია. ყოველთვის ჩნდება ახალი ნარკოტიკი და ადამიანის ბუნებაში სულ არის სწრაფვა სასიამოვნოსაკენ. ამ გაგებით ნარკოტიკი და ალკოჰოლი ერთი და იგივეა.

„საქართველოში ნარკომომხმარებელთა დასახმარებლად რამდენიმე მეთოდი ხორციელდება, ერთ-ერთი ზიანის შემცირებაა. მომხმარებლისთვის წამლის სწრაფი აკრძალვა უშედეგოა, ამისთვის არსებობს მეტადონის პროგრამა. თუმცა, აქაც არის პრობლემა, როგორც თანხებთან დაკავშირებით, ასევე კონფიდენციალობის დარღვევის გამო. წლების მანძილზე ვიმუშავეთ საქართველოში და საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ მეტადონის პროგრამის გადასახადი შარშან 30%-ით შემცირდა,“ — ამბობს დავით ფორჩხიძე.

მისი თქმით, არსებობს კიდევ ერთი მეთოდი, ეს არის „შპრიცების გაცვლის“ პროგრამა, რათა ერთი და იგივე ნემსის გამოყენება არ მოხდეს მომხმარებლებში, ეს კი ამცირებს სხვადასხვა დაავადებების გავრცელებას. ამ პროგრამაში, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თავად ყოფილი მომხმარებლები მონაწილეობენ.

კითხვაზე: რა ბედი ეწევა ადამიანს მას შემდეგ, რაც დაასრულა მეტადონის პროგრამა? — დიდი ხანია, მსჯელობა მიმდინარეობს.

„ამისათვის სახელმწიფოს მიერ დიდი ყურადღებაა საჭირო, ამ გზის გავლის შემდეგ უფრო მეტი ყურადღება სჭირდებათ დაავადებულ ადამიანებს. ამისათვის კი სახელმწიფო არ არის მზად, არც ეკონომიურად და არც – შეგნებით. პირველ რიგში, სარეაბილიტაციო ცენტრები უნდა მომრავლდეს ქვეყანაში, რაც მეტადონის პროგრამის შემდეგ მკურნალობას უზრუნველყოფს,“ — განაცხადა დავით ფორჩხიძემ.

„უნდა მოხდეს კანონის ლიბერალიზაცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოხდეს მომხმარებელთა დეკრიმინალიზაცია. ეს ადამიანები, ნარკოტიკების მომხმარებლები დასჯის ნაცვლად, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მკურნალობით, რეაბილიტაციით, ზიანის შემცირების პროგრამებით, რაც არის ერთადერთი სწორი მიდგომა, ეს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებამაც აჩვენა,“ — ამბობს ორგანიზაცია „ახალი გზი“-ს სუბკოორდინატორი ზაზა ქარჩხაძე.

ნარკოტიკებთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის დღეს ქუთაისი გამოეხმაურა. მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართული შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების: „ახალი გზისა“ და „რუბიკონის“ ორგანიზებით გაიმართა.

ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმ სირთულეებზე ისაუბრეს, რასაც საქართველოში აქვს ადგილი ნარკომანიასთან ბრძოლის გზაზე.

ამ ეტაპზე ნარკოტიკების მომხმარებელთა ქსელი და ზიანის შემცირების ქსელი აწარმოებს კამპანიას კანონის ლიბერალიზაციის მოთხოვნით, რომლის სლოგანია „ჩემი რეპრესია, შენი რეგრესია“. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება პეტიციაზე.

მიმდინარე წლის 26 ივნისს, 15 საათზე ზემოთაღნიშნული ორგანიზაციები საქართველოს პარლამენტთან გამართავენ აქციას. პეტიცია 100 ათასი ადამიანის ხელმოწერით გადაეცემა პარლამენტის თავმჯდომარეს.

ჟანა ჯანელიძე

ქართული ბრენდების დაცვა „საქპატენტის“ ეროვნული ღირსების საქმეა!

„ღვინის აკვანი“ და „ქვევრი“ — უკვე დარეგისტრირებული ქართული სასაქონლო ნიშნებია

მე-4 გვერდიდან

„ჩვენთან რომ ახალ დასახელებაზე შემოიტანონ სარეგისტრაციოდ განაცხადი, ამისთვის საჭირო არის, კონკრეტულად სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოახდინოს დაკვირვება, შეისწავლოს კარგად. შესწავლას აქვს თავისი რეგულაციები — უნდა მოხდეს დაკვირვება – მზე, ნიადაგი, ვაზი როგორია, ყურძენს რომელ წელს როგორი შაქრიანობა აქვს და ა.შ. იმიტომ არის ეს ადგილწარმოშობის დასახელება ძვირფასი, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ ქვეყანასთანაა დაკავშირებული, მარტო აქ მოდის ეს განსაკუთრებული თვისებების პროდუქტი. სახელმწიფო ქირაობს იმ სპეციალისტს და მეცნიერებს, რომელიც საჭიროა ამ ყველაფრის შესასწავლად და ჩვენთან მზა დოკუმენტაცია შემოდის. „საქპატენტი“, უბრალოდ, ამას არეგისტრირებს, გადახედავს, დოკუმენტები რამდენად შეესაბამება მოთხოვნებს და მოახდენს მის რეგისტრაციას, რაც უკვე იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სახელმწიფოს გარდა, მისი გამოყენების უფლება არავის აქვს“ — ამბობს გიორგი ქურდიანი.

მიუხედავად იმისა, რომ „საქპატენტის“ ფუნქცია უშუალოდ რეგისტრაციაა და მას შესაბამისი განაცხადი სახელმწიფომ უნდა წარუდგინოს, როგორც ირაკლი ღვალაძე ამბობს, ბევრ საკითხში ორგანიზაციამ თავად გამოიჩინა ინიციატივა, რადგან სხვანაირად არაფერი გამოვიდოდა. მაგალითად, 2011 წელს მოხდა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის წარდგენა მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციაში. ამ დროისთვის საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც ეს არ ჰქონდა დარეგისტრირებული.

„ეს ჩვენი პირდაპირი საქმე არ იყო, მაგრამ როდესაც ვნახეთ, რომ ყველა ქვეყანას ჰქონდა სახელმწიფო სიმბოლიკა დარეგისტრირებული, შესაბამისი შეთანხმებით დავარეგისტრირეთ ჩვენი დროშა, დიდი გერბი და პატარა გერბი და ეს თემაც ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდა, ეს არის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრება. ამას ვერასოდეს ვერავინ ვერ გახდის სადაოდ.

ამ მიმართულებით ძალიან ბევრია გასაკეთებელი და არა მხოლოდ პროდუქტებზეა საუბარი, აქ შეიძლება იყოს საუბარი ხელნაკეთ ნივთებზე, ქართულ თექაზე, გობელენზე. მაგალითად, ირანმა დაიწყო ხალიჩების რეგისტრაცია, როგორც ადგილწარმოშობის დასახელების, იმიტომ, რომ ის ხელნაკეთია და არის კონკრეტული ჯიშის ცხოველის მატყლისგან დამზადებული. ეს ყველაფერი არის ქვეყნის იდენტიფიკაცია, ქვეყნის სახე და შემოსავლის მომტანიც არის კონკრეტული ფერმერისთვის, რომელიც ამ სფეროშია დასაქმებული. რატომაც არა საქართველო — ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ამას ვაკეთებთ და გვაქვს ამის საშუალება“ — აცხადებს „საქპატენტის“ თავმჯდომარე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „საქპატენტმა“ დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშანი „ღვინის აკვანი“ და „ქვევრი.“ ამ სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით დავა იყო სომხეთთან. თუმცა, როგორც „საქპატენტის“ თავმჯდომარე ამბობს, ეს ჩვეულებრივი ამბავია და ამ სფეროში ბევრი რამე უფრო საკითხის დროულად გადაწყვეტაზეა, ვიდრე – მეცნიერულ კვლევაზე.

„თუ შენ დროზე დაარეგისტრირე, ჩათვალე, რომ ექსკლუზივი გაქვს, მაგრამ ჩვენ არა მარტო სისწრაფეზე ვართ ორიენტირებული, არამედ, გვაქვს მეცნიერული საფუძველიც, რომ ვთქვათ — საქართველო არის „ღვინის აკვანი.“

***

„საქპატენტის“ უახლოესი გეგმები კვლავ სხვადასხვა ქართული ბრენდის დარეგისტრირებას უკავშირდება. განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ცხვრის თემა, რადგან ესეც დაცულია ადგილწარმოშობის დასახელებით. ირაკლი ღვალაძის თქმით, ცხვრის ხორცს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად იცავენ. ქართული ცხვარი კი ძალიან დიდი ღირებულებისაა, ოღონდ, მასაც გაბრენდება სჭირდება. ამიტომ აუცილებელია, ესეც ადგილწარმოშობის დასახელებას ან გეოგრაფიულ აღნიშვნას მიებას. ჩვენთან, ძირითადად, ორი სახის ცხვარია, კოლხური და თუშური ცხვარი. გარდა ამისა, იგივე ღვინოსთან დაკავშირებით არის ახალი ადგილწარმოშობები და ამაზე მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ღვინის ეროვნული სააგენტო, არის ახალი დასახელებები, რომლის ზონების დადგენაც მიმდინარეობს და მისი რეგისტრაციაც აუცილებლად უნდა მოხდეს.

„ეს თემები, რაც დაკავშირებულია ადგილწარმოშობის დასახელებასთან, ღვინოსთან, ამის ინიციატორი და მთავარი წამყვანი არის კერძო ბიზნესი, ღვინის ასოციაციები, საქართველოს სომელიეთა ასოციაცია, რომელთანაც ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ და კიდევ უფრო მეტად ვგეგმავთ ურთიერთობის გაგრძელებას.

საერთოდ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბიზნესი თუ არ დაინტერესდა ამით, ჩვენ რაც არ უნდა ვარეგისტრიროთ, „საქპატენტი“ ღვნოს თვითონ ვერ ჩამოასხამს და ვერ გაყიდის. ეს კომპანიამ უნდა გააკეთოს.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რა აინტერესებს ბიზნესს, რომ მათ გვერდით ვიყოთ, დავეხმაროთ და აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია მათთან თანამშრომლობა“ - აცხადებს „საქპატენტის“ თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე.

ნატო გუგელაძე

ავტორის მინაწერი:

ჩემს მიერ მომზადებული ეს სტატია გამოქვეყნებული იყო ახლახანს, სომელიეთა ასოციაციის მიერ გამოცემულ ჟურნალში „ღვინო“, თუმცა თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, „პოსტსკრიპტუმის“ მკითხველისთვისაც გამეცნო ქვეყნისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ორგანიზაციის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ცენტრის, „საქპატენტის“ საქმიანობის შესახებ.

„საქპატენტში“ მედიასთან შეხვედრა გაიმართა

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ USAID-ის პროგრამა ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივისა (EPI) და საქპატენტის ორგანიზებით მასმედიის წარმომადგენლებთან ინფორმაციული ხასიათის შეხვედრა გაიმართა. ამ ღონისძიებაში მონაწილე საინფორმაციო სააგენტოების, ბეჭდური მედიის, რადიო და ტელემაუწყებლობის ჟურნალისტებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქპატენტის საქმიანობის შესახებ, რომლის მთავარი ფუნქციაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა საქართველოში.

შეხვედრა გახსნა საქპატენტის თავმჯდომარემ ირაკლი ღვალაძემ. მან ყურადღება გაამახვილა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობაზე სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში, ისაუბრა საქპატენტში მიმდინარე პროცესებსა და სამუშაო პროცესში წამოჭრილ აქტუალურ საკითხებზე. საქპატენტის დარგობრივმა სპეციალისტებმა ჟურნალისტებს გააცნეს საქპატენტში განაცხადების ელექტრონული წარდგენის თანამედროვე სისტემა, რომლის დანერგვაც აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა. საპრეზენტაციო მოხსენებით გამოვიდნენ საქპატენტის დეპარტამენტების ხელმძღვანელები და ყურადღება გაამახვილეს ინტელექტუალური საკუთრების იმ ობიექტებზე, რომელთა დაცვას საქპატენტი ახორციელებს, კერძოდ: გამოგონებების, სასარგებლო მოდელების, დიზაინის, სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების. ასევე, მიმოიხილეს საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ საქპატენტის საქმიანობის სპეციფიკაში გარკვევა მასმედიის წარმომადგენლებს დაეხმარება ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიანად და ამომწურავად გაშუქებაში, შესაბამისად, მათ მიერ საზოგადოებას მიეწოდება სრულყოფილი ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროს შესახებ.

„ჯორჯიან ამერიქან ელოიზი" სილიკომანგანუმის წარმოებას ამცირებს

საქართველოში მაიამიდან ბიზნეს-შეტყობინება შემოვიდა: კომპანიების „ფელმანპროდაქშენ", „მეტალს ენდ ელოიზ", „ფელმან თრეიდინგი" და „ჯორჯიან მანგანეზის „დედაკომპანია აცხადებს, რომ საქართველოში არსებულ საწარმოებში განუსაზღვრელი ვადით სილიკომანგანუმის წარმოებას ამცირებს. „ჯორჯიან მანგანეზი", რომელიც სილიკომანგანუმის წამყვანი მწარმოებელი და ექსპორტიორია აშშ-ში, აჩერებს ერთ-ერთი ელექტრორკალური ღუმელის მუშაობას ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში. გადაწყვეტილება 2014 წლის 1 ივნისს გამოიცა. სამუშაოს გახანგრძლივებული შეჩერება საშუალებას მისცემს „ჯორჯიან მანგანეზს", დაიწყოს ღუმელზე დაგეგმილი განახლების პროცესი მისი ეფექტურობის გაზრდის მიზნით. აღნიშნული შეჩერება შეამცირებს „ჯორჯიან მანგანეზის" მიერ სილიკომანგანუმის წარმოებას, დაახლოებით, 2,500 ტონით.

„დაგეგმილი დახურვა იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენს სტრატეგიას, გავაუმჯობესოთ წარმოების მეთოდები და განვაახლოთ დანადგარები, რათა უფრო ეფექტური გავხადოთ წარმოება და გავამყაროთ ჩვენი კონკურენტული პოზიცია ხანგრძლივი პერიოდით," — აცხადებს ველველ ლოზინსკი, „ჯორჯიან მანგანეზის" გენერალური დირექტორი.

ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, „ჯორჯიან მანგანეზის" ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა წლიურად, დაახლოებით, 180 000 ტონა სილიკომანგანუმს აწარმოებს. როგორც მაიამის სრულ მფლობელობაში არსებული ფილიალი, „ჯორჯიან ამერიქან ელოიზ" (ჯაა), „ჯორჯიან მანგანეზი" პროდუქციას უშვებს საერთაშორისო არენაზე ისეთი ფართო სადისტრიბუციო ქსელით, როგორიცაა მისივე ჰოლდინგში მყოფი ერთ-ერთი კომპანია „ფელმან ტრეიდინგ ინკ".

„ჯორჯიან ამერიკან ელოიზ ინკ"-ის შტაბ-ბინა განთავსებულია ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიში. იგი წარმოადგენს რკინისა და ფოლადის წარმოებისათვის მაღალი ხარისხის ფეროშენადნობების და საჭირო ელემენტების წამყვან მწარმოებელ და მიმწოდებელ კომპანიას. კომპანია ამუშავებს მთელ რიგ ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს, მათ შორის არის ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული „ფელმან პროდაქშენ", „ფელმან ტრეიდინგ", „მეტალს ენდ ელოიზ" და აღმოსავლეთ ევროპაში არსებული „ჯორჯიან მანგანეზი", რომელშიც შედის ჭიათურის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა და ვარციხეჰესი. კომპანიების ასეთი მრავალფეროვანი პროფილი და მარკეტინგული ორგანიზება საშუალებას აძლევს „ჯორჯიან ამერიკან ელოიზს", შესთავაზოს მაღალი ხარისხის პროდუქციის უზადო, სანდო მიწოდება კონკურენტულ ფასებში. აღნიშნული კომპანია ტრანსკონტინენტურია და ნედლეულის მოპოვებას აწარმოებს აფრიკაშიც.

კითხვაზე, ხომ არ მოხდება ზესტაფონის „ფეროს" ერთ-ერთი ღუმელის გაჩერებით მუდმივად წარმოების შემცირება, „ელოიზის" მხრიდან მივიღეთ პასუხი: „ღუმელის მუშაობის შეჩერება უკავშირდება მხოლოდ მის განახლებას და თანამედროვე სტანდარტებთან გათანაბრებას".

როლანდ ხოჯანაშვილი

psnews.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"-ს პარტნიორთათვის

ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"-ს (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ასევე, ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წავმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროდუქტებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაცემად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"-ს ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს „ელიტაუდიტი"
ქუთაისი. 15 მაისი 2014წ.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი)
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2013	2012
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტი	1161168	336451
მთლიანი სესხის პორტფელი	7378804	3721650
სამეურნეო მასალები (მარაგები)		
წინასწარ გადახდილი ხარჯები (ავანსები)	188037	87858
	8728009	**4145959**
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	551569	304883
არამატერიალური აქტივები	61148	34834
	612717	**339717**
მთლიანი აქტივები	**9340726**	**4485676**
კაპიტალი და ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	40292	16172
საგადასახადო ვალდებულება	135207	131976
	175499	**148148**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
დროებით შეზღუდული შემოსავლები მიღებული გრანტიდან		
გრძელვადიანი სესხი	8915227	3273295
	8915227	**3273295**
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	250000	250000
გაუნაწილებელი მოგება	-	814233
	250000	**1064233**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**9340726**	**4485676**
დირექტორი	**თ. რიაბუხა**	
ბუღალტერი	**ლ. კურტანიძე**	

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი" მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	2013	2012
საპროცენტო შემოსავალი	1951366	1309944
ფინანსური მომსახურების საკომისიო	162856	113986
შემოსავალი ჯარიმებიდან	373393	236814
სხვა შემოსავალი	123223	100627
საეჭვო სესხების ანარიცხების ხარჯი	--	--
საერთო მოგება	**2610837**	**1761371**
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	-850334	-438559
ფინანსური ხარჯი	-806094	-500365
სხვა (ხარჯი)/ შემოსავალი	25197	-6518
მოგება დაბეგვრამდე	**979605**	**815930**
მოგების გადასახადის ხარჯი	-130663	-129334
წმინდა მოგება	**848942**	**686595**
სხვა სრული შემოსავალი	--	--
სრული შემოსავალი	**848942**	**686595**
დირექტორი	**თ. რიაბუხა**	
ბუღალტერი	**ლ. კურტანიძე**	

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ფინანსი"
ანგარიშგება საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2012 წელი			
მფლობელთა შენატანი	250000		250000
წმინდა მოგება		814233	814233
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	**250000**	**814233**	**1064233**
2013 წელი			
გაუნაწილებელი დივიდენდი		-1663175	-1663175
მფლობელთა შენატანი			0
წმინდა მოგება		848942	848942
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	**250000**	**0,0**	**250000**
დირექტორი		**თ. რიაბუხა**	
ბუღალტერი		**ლ. კურტანიძე**	

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: მოერიდეთ გენიალურ იდეებს, განსაკუთრებით სხვისას. შეიძლება არც თუ ისე სახარბიელო ინფორმაცია მიიღოთ. შეეცადეთ, პარტნიორის არჩევისას მეტი ყურადღება გამოიჩინოთ.

კურო: უმჯობესია დაისვენოთ. არ დაგეგმოთ არანაირი საქმიანი შეხვედრა, უმჯობესი იქნება მოლაპარაკებები გადადოთ.

ტყუპები: გელით ფინანსური დანაკარგი. ყველაფერი ეს კი თქვენი ზედმეტი თვითდაჯერებულობის ბრალია. არ არის გამორიცხული, რომ თქვენ გელით სასიამოვნო შეხვედრა. ვარსკვლავები გამცნობენ, რომ აუცილებლად უნდა მოინახულოთ ახლობლები.

კირჩხიბი: რთული პერიოდი დადგება თქვენს ცხოვრებაში, ამ პერიოდში გაგიჭირდებათ გადაწყვეტილების მიღება, ხოლო როცა მიიღებთ გადაწყვეტილებას, დარწმუნებული უნდა იყოთ მის სისწორეში.

ლომი: შეეცადეთ, მაქსიმალურად გამოიყენოთ თქვენი ფიზიკური და სულიერი ძალები სასურველი საქმისათვის. შესაძლებლობა მოგეცემათ, გადაწყვიტოთ რთული ამოცანები.

ქალწული: ეს დრო კარგია პირადი ურთიერთობების მოსაგვარებლად. შესაძლოა წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. თამამი ნაბიჯებისაგან თავს ნუ შეიკავებთ.

სასწორი: თქვენი ცხოვრებისეული ენერგია პიკს მიაღწევს. ამიტომ ნებისმიერ რთულ საქმეს ადვილად მოაგვარებთ. წარმატება გელით ახალი საქმის წამოწყებისას. სიყვარულში გაგიმართლებთ.

მორიელი: ეცადეთ, გარშემო რაიმე შეცვალოთ. კარგი იქნება, თუ ორგანიზმის გაჯანსაღებაზე იზრუნებთ.

მშვილდოსანი: სურვილები აგისრულდებათ, რაღაც გტანჯავთ, მაგრამ საბოლოოდ გაგიმართლებთ სიყვარულშიც.

თხის რქა: ბევრი სიურპრიზი გელით. განსაკუთრებული ყურადღება საყვარელ ადამიანს დაუთმეთ. ენდეთ თქვენ შინაგან ხმას და ისე იმოქმედეთ.

მერწყული: ახალ საქმეს ენერგიულად მოჰკიდეთ ხელი. საშუალება მოგეცემათ საქმიან პარტნიორებთან სასურველი გარიგებები დადოთ. საყვარელ ადამიანს დიდი დრო დაუთმეთ, გაუკეთეთ სიჩუქარი, ამ ჟესტით მას ძალიან გაახარებთ.

თევზები: გამოიჩინეთ შემოქმედებითი უნარი და გაიფართოვეთ ინტერესთა სფერო. სამსახურში თავის გამოჩენა მოგიწევთ, რაც უფროსობის კმაყოფილებას გამოიწვევს.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. სტიუარტ. 5. არალი. 6. უმი. 8. ალა. 9. მაინა. 11. აგვისტო.
შვეულად: 1. რიალი. 2. სან. 3. სტრელკა. 4. ტამანგო. 7. მარსი. 10. ქვა.

შშმ პირთა დასახმარებლად

ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, ლატვია-საქართველოს თანამშრომლობის ფონდთან და პროფესიული გადამზადების ცენტრთან ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანიც იმერეთის რეგიონში მყოფი შშმ მქონე პირების პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობაა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლებისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობის ადვოკატირების საპილოტე პროგრამის ფარგლებში გამართულ შეხვედრას ქუთაისში მოქმედი მეწარმეები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ, რომელთაც პროექტის ორგანიზატორებმა თავიანთ დაწესებულებებში შშმ პირთა დასაქმების მნიშვნელობაზე ესაუბრეს.

მეწარმეების, არასამთავრობო სექტორის და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, მათი სურვილია, დაასაქმონ შშმ პირები მათი შესაძლებლობის ფარგლებში ხელმისაწვდომ თანამდებობებზე, თუმცა ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან შემხვედრი ნაბიჯი უნდა გადაიდგას, რაც გულისმხობს დაბეგვრის გაუქმებას ან განახევრებას, როგორც ეს განვითარებულ სახელმწიფოებში ხდება.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

თანაგრძნობა

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია უთანაგრძნობს გია და ნატო გუბელაძეებს დეიდის, პაატა ცნობილაძეს — მამიდის, **მანცია ცნობილაძის** გარდაცვალების გამო.

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ
ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში – ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ª;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) – წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით _____

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

23.06.2014



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

მომღერალი **ირაკლი ჩარკვიანი** ამოიცნო **სულიკო ფუტკარაძემ.**

რას დაარქმევდით?

დავით უსუფაშვილი

ბიძინა ივანიშვილი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

სად ხარ, ბიძინა? სამართალმა იძინა...

შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი



თარაზულად: 3. ხუჭუჭთიმანი ადამიანი მალაის ენაზე. 5. შესაძლებლობა. მოქმედების შნო. 6. დიდი მახრჩობელა ხის გველი. 8. უმაღლესი მწვერვალი ჩრდ. ამერიკაში ... -კინლი. 9. ჯარების ერთობლიობა. 11. მისი დედაქალაქია კაირო.

შვეულად: 1. სოკოს გამრავლების ორგანო. 2. ვინსენტ ... გოგი. 3. ბერძენი პოეტი (ძვ. წ. VI-V ს.ს.). 4. მსახიობი ... ხვიჩია. 7. მწვავე ინფექციური დაავადება. 10. ქირურგი ... კუზანოვი.

მალავენ თუ არა საქართველოში გოლიათი ადამიანების აღმოჩენის ფაქტს?

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მსოფლიო აღმოჩენა უარყვეს

ბორჯომ-ხარაგაულის ტერიტორიაზე გიგანტური ადამიანების ჩონჩხის ნაწილების სენსაციურ აღმოჩენას, რომელმაც ცოტა ხნის წინ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, სპეციალისტები მალავენ. ამ დასკვნამდე მივიდა ასტრო-ეზოთერული ცენტრის ხელმძღვანელი თორნიკე ბიძინაშვილი, რომელიც ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს პირადად ესტუმრა და ნიმუშების გაცნობა ითხოვა. ბიძინაშვილი ამ თემებს წლებია იკვლევს და ამჟამად უძველეს გოლიათებზე დოკუმენტური ფილმის გადაღებას აპირებდა. ინტერვიუში ის აცხადებს, რომ ბორჯომში ჩასულს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში განუცხადეს, რომ მსგავსი ფაქტის შესახებ მათთვის ცნობილი არ არის. ეს მაშინ, როცა გიგანტური ადამიანების ჩონჩხების შესახებ საკუთარი კვლევები აკადემიკოს აბესალომ ვეკუასაც აქვს მომზადებული და მან სამეცნიერო დასკვნაც გამოაქვეყნა, სადაც წერს, რომ აღმოჩენილი გოლიათის ჩონჩხები 25-30 ათასი წლის წინანდელი პერიოდით თარიღდება. აკადემიკოსმა ასევე განაცხადა, რომ ეს გიგანტური არსებები აქ წლების წინ განცალკავებულად ბინადრობდნენ და გოლიათებზე ლეგენდები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. საკითხი მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრშიც არაერთხელ მოექცა და ამ თემაზე უამრავი სტატია, თუ სატელევიზიო რეპორტაჟი მომზადდა. „კვირა" დაინტერესდა, ბორჯომ-ხარაგაულის მუზეუმის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა რატომ დაუმალეს ასტრო-ეზოთერული ცენტრის ხელმძღვანელს ასეთი რეზონანსული აღმოჩენა.



თორნიკე ბიძინაშვილი

— თორნიკე, პირველად საიდან შეიტყვეთ ამ ფაქტის შესახებ?

— ამ თემით დაინტერესებული ვარ, რადგან საქმე გვაქვს მნიშვნელოვან აღმოჩენასთან, რომელსაც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საქართველოში არ ახმაურებენ. გიგანტური ადამიანების ჩონჩხების შესახებ საკუთარი კვლევები აკადემიკოსმა აბესალომ ვეკუამაც მოამზადა და მან სამეცნიერო დასკვნაც გამოაქვეყნა. საკითხი მსოფლიოს მედიის ყურადღების ცენტრშიც არაერთხელ მოექცა. ჯერ მარტო 2 თვის წინ, ამ თემაზე ქართველმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა ვრცელი მასალები მოამზადეს. არსებობს ფოტო და ვიდეო-კადრებიც, რომლებიც ინტერნეტ-სივრცეშიც უხვად არის გავრცელებული... არსებობენ ექსპედიციის წევრებიც, ვინც საუკუნის წინანდელ ადამიანთა ნაწილებს მიაკვლიეს.

— თქვენ იყავით ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და რა გითხრეს ამ ფაქტთან დაკავშირებით?

— დიახ, რამდენიმე დღის წინ მე ვიყავი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და მის ადმინისტრაციას გავესაუბრე, აღმოჩნდა, რომ მათ, გიდმაც კი არანაირი გიგანტური ადამიანების შესახებ არაფერი იციან. არადა, ჩემთვის ცნობილია აკადემიკოს აბესალომ ვეკუას მოსაზრება ამ თემაზე, რომელსაც იგი უზიარებს რუსული ტელეარხის ჟურნალისტებს.

— თქვენი აზრით, საქართველოში ამ ფაქტის არსებობას მალავენ?

— ვერ გეტყვით, ფაქტი სახეზეა. როდესაც ჩავედი, ბორჯომის მუზეუმის ადმინისტრაციის წევრებს ვთხოვე, ჩემთვის მოეცათ შესაძლებლობა გიგანტური ადამიანების ნაწილების გადაღების. მინდა, ამ თემაზე ფილმი გადავიღო. მათ კი მითხრეს, რომ ასეთი რამ არ არსებობს... რომ ტყუილია, თითქოს ისინი აღმოაჩინეს. ძალიან გავოცდი. საერთოდ, მეცნიერულად დადასტურებულია, რომ დედამიწაზე არსებობდა გოლიათი და ჯუჯა ადამიანების კატეგორია. გოლიათ ადამიანებს ქართველები დევებს უწოდებდნენ და ისინი დაბალი ინტელექტით გამოირჩეოდნენ. ზღაპრების პერსონაჟებშიც ხომ გვხვდებიან დევები – ისინი ადამიანების ფანტაზიის ნაყოფები არ ყოფილან. ეს არსებები მართლაც იყვნენ ბუნებაში. ვაპირებ, რომ თემის მოკვლევა გავაგრძელო, საინტერესოა, ამ საკითხზე რა პოზიცია აქვს ეროვნული მემკვიდრეობის სააგენტოს. ისინი ვალდებული არიან, საზოგადოებას აუხსნან, რატომ მალავენ მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენას ბორჯომში? ძალიან ველოდები მათ განმარტებას და იმედია, მალე მივიღებ.

ეროვნული მემკვიდრეობის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნათია მურაჩაშვილის თქმით, ამ თემით სააგენტოც დაინტერესებულია და სამომავლოდ, არ არის გამორიცხული, რომ ამასთან დაკავშირებით ქართული ექსპედიციაც მოეწყოს.

kvira.ge

ათი ქვეყანა, სადაც მსუქანი ქალები უყვართ

მიუხედავად იმისა, რომ გადამეტებულ სიმსუქნეს პრობლემები ახლავს, ბევრ ქვეყანაში ასეთი ქალები მოსწონთ, რადგან მიიჩნევენ, რომ სიმსუქნე ჯანმრთელობის, სიმდიდრის და ბედნიერების სიმბოლოა.

1. ტონგა

წყნარ ოკეანეში მდებარე პატარა კუნძულ ტონგაზე სილამაზედ დიდ ზომებს მიიჩნევენ. 140 ათასი კუნძულის მცხოვრებლიდან 100 ათასს გადაჭარბებული წონა აქვს. ჩრდილო-ამერიკული ასოციაციის მიერ სიმსუქნის პრობლემებთან დაკავშირებულ რამდენიმე კვლევაში საუბარია იმაზე, რომ კუნძულ ტონგას მცხოვრებლები სიმსუქნისკენ გენეტიკურად არიან მიდრეკილი.

2. **კუვეიტი**

კუვეიტი მდიდარია არა მხოლოდ ნავთობის საბადოებით, არამედ ადამიანების სიმსუქნითაც არის ცნობილი. გულსისხლძარღვთა დაავადებები ამ ქვეყანაში სიკვდილიანობის მთავარი მიზეზია. კუვეითელი ქალების 52%-ს სიმსუქნის პრობლემა აწუხებთ. ეს უდაბნოს მომთაბარე ხალხი სიმსუქნეს ოდითგან ჯანმრთელობის და სიმდიდრის მანიშნებლად მიიჩნევდნენ. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. ქვეყანაში, სადაც ქალის განვითარებას ტაბუ ადევს, ცოლები, როგორც დეკორატიული ატრიბუტები, ისე ფასდებიან. მათი დანიშნულება სახლის შევსებაა. ამიტომ, რაც უფრო დიდია ქალი, მით უფრო მდიდარია მისი სახლი.

3. **ფიჯი**

ამ იზოლირებული კუნძულის ლიდერები ყოველთვის ცდილობდნენ იგი დანარჩენი კუნძულებისთვისმიეერთებინათ, შედეგად ფიჯის მცხოვრებთა რაციონში მაღალკალორიული საკვები პროდუქტები გაჩნდა. ამ კუნძულზე უპირატესობა მას აქვს, ვინც მისულ სტუმარს მეტ საჭმელს შესთავაზებს. ამან გამოიწვია ის, რომ ფიჯის მოსახლეობის უმეტესობას ზედმეტი წონა აწუხებს. თუმცა ისინი არა მხოლოდ მსუქნები — ბედნიერებიც არიან. წელის დიდი გარშემოწერილობა ქალისთვის აქ ჯანმრთელობის, ნაყოფიერების და სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლება.

4. **იამაიკა**

იამაიკაში მსუქანი ქალების ზომა სამედიცინო სტანდარტებით აღიარებულ იდეალურ ზომას ორჯერ აღემატება. ამ კუნძულის მცხოვრებ ქალთა განსაკუთრებულობად ფართო თეძოები ითვლება. კვლევამ, რომელიც იამაიკაში 1993 წელს ჩაატარეს, აჩვენა, რომ ტანწერწეტა ქალები ამ ქვეყანაში მოწყენილობის სიმბოლოდ აღიქმებიან, ხოლო გადამეტებული წონა — ბედნიერების და სოციალური ჰარმონიის სიმბოლოა. არსებობს მთელი რიგი წამლებისა, რომლებსაც ახალგაზრდა ქალები წონის მოსამატებლად სვამენ.

5. **სამოა**

ვინაიდან ქვეყანამ მეორე მსოფლიო ომის დროს უარი თქვა წყნარი ოკეანიდან მოპოვებულ თევზის პროდუქტებზე, სამოელების სხეულის მასამ მომატება დაიწყო. აქ პროდუქტების უკმარისობა ყოველთვის არსებობდა და ბიოლოგ-ანთროპოლოგები თვლიან, რომ სამოელები გენეტიკურად არიან „დაპროგრამებული" ზედმეტ წონაზე.

6, **ჩრდილოეთ აფრიკა**

ამ ქვეყანაში გამხდარი ქალების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. დიდი ქალები აქ სიმსუქნის გამო უყვართ და აქაც ითვლება, რომ მსუქნები მდიდრები და ბედნიერები არიან.

7. **ავღანეთი**

საუკუნეების განმავლობაში მსუქანი ავღანელი ქალები ძალიან კონტრასტულები იყვნენ უნაყოფო გარემომცველ სიტუაციასთან შედარებით. მართალია ფარანჯა მათ სხეულს კარგად მალავს, მაგრამ მსუქანი სახის ნაკვთები ავღანელი მამაკაცების აღფრთოვანებას იწვევს.

8. **ტაიტი**

ტაიტის ფრანგულ პოლინეზში არსებობს ადგილობრივი ტრადიცია „ხა აპორი," რაც ზედმეტ ჭამას ნიშნავს. ახალგაზრდა ქალებს ბევრს აჭმევდნენ და შემდეგ ბელადთან მიჰყავდათ, რათა მას გოგონების სილამაზე შეეფასებინა. ეს ტრადიცია ტაიტიში დღესაც გრძელდება.

9. **ნაურუ**

ნაურუს სახელმწიფო არა მარტო თავისი დიაბეტის მაღალი მაჩვენებლებით არის ცნობილი მთელს მსოფლიოში, ამ წყნარი ოკეანის პატარა კუნძულზე სიმსუქნით 14 ათასი ადამიანი იტანჯება. ქალებს სპეციალურად ბევრს აჭმევენ, რათა შემდგომი დედობისთვის მოემზადონ. ამ კუნძულებზე სოფლის მეურნეობას ვერ მისდევენ. ამიტომ კუნძულის მცხოვრებთა საკვები, ძირითადად, იაფი იმპორტული პროდუქტებია, რომლებიც სიმსუქნეს იწვევს.

10. **მავრიტანია**

უდაბნოში მცხოვრებ ამ ხალხში ქალების სიმსუქნე სილამაზის და სიმდიდრის სიმბოლოა. ამისთვის ახალგაზრდა გოგონები ყოველ დილით დიდი რაოდენობით ცხიმიანი აქლემის რძეს სვამენ, რაც მათ წონაში მომატებას იწვევს. ბავშვების გაჩენის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში მავრიტანელი ქალები წონის შენარჩუნებას ვერ ახერხებენ და ამის გამო მათ ქმრები შორდებიან.

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები